ოსტატობა ძალის საპირისპიროდ

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 23 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “კაირატი” (ალმა-ათა) 3:0 (2:0).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, კანთელაძე, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, მესხი.

“კაირატი”: ბუბენეცი, დიშლენკო, იშჩენკო, ფედოტოვი, ასილბაევი, დოლმატოვი, კვოჩკინი, ვოლოხი, აბგოლცი, მუსინი, სიგიზბაევი (ჟუიკოვი).

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

საკავშირო ჩემპიონატის მოცემულ ეტაპზე ალმაათელთა განწყობას და საბრძოლო სულისკვეთებას განსაზღვრავს სატურნირო ცხრილი. მართალია, ამ ცხრილში “კაირატზე” უფრო დაბლა კიდევ ორი გუნდი დგას, მაგრამ ეს ზონა იმდენად სახიფათოა, ხოლო აუტსაიდერთა მდგომარეობა - ერთნაირი, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია გადამწყვეტი ცვლილებები. ერთი სიტყვით, არც ტაშკენტის “პახტაკორს” და არც კიროვაბადის “დინამოს”, ალმაათელთა მსგავსად, დაბალ ლიგაში გადასვლის შიშით “არ სძინავთ”.

სწორედ ეს კრიტიკული მდგომარეობაა იმის მიზეზი, რომ “კაირატი” ჩემპიონატის ყველა დარჩენილ მატჩს ატარებს დიდი ფიზიკური და ნერვული დაძაბულობის ნიშნით. თქვენ ალბათ გახსოვთ გუშინწინდელი მატჩი და სტუმრების უჩვეულო მონდომება, რომელიც ხშირად გადადიოდა ზღვარს. “კაირატი” ნერვიულობდა, იბრძოდა, ფეხბურთელები ხშირად ეკამათებოდნენ მსაჯს, ყოველნაირად ცდილობდნენ მარცხისგან თავის დაღწევას, მაგრამ მათი სურვილი მხოლოდ სურვილად რჩებოდა.

თამამად შეიძლება იმის მტკიცება, რომ 90 წუთის მანძილზე ალმაათელებს არც ერთი, ცოტად თუ ბევრად სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ. ამის მიზეზი შეიძლება თბილისელთა დაცვის შეთანხმებული თამაში იყო, შესაძლოა მასპინძლების თავდამსხმელთა აქტიურობა, რომელთა მიზეზითაც “კაირატის” კარი მუდმივი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. ასეა თუ ისე, “დინამო” მატჩის პირველი წუთიდან უკანასკნელამდე მდგომარეობის ბატონ-პატრონი იყო და პირდაპირ უნდა ვთქვათ, ანგარიში ძალთა ობიექტურ შეფარდებას მთლიანად არ ასახავს.

ამ დღეს არ იყო იდეალური სათამაშო პირობები. წვიმამ და სველმა გრუნტმა, რა თქმა უნდა, თავისი დაღი დაასვა ორთავე გუნდის მოქმედებას, მაგრამ პირობებს დინამოელებმა უფრო ადრე და უკეთ აუღეს ალღო და სწორედ ამიტომაც დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს.

პირველი წარმატება დინამოელებმა მე-10 წუთზე იზეიმეს. მესხის უძლიერესი საჯარიმო დარტყმა კარგად ვერ მოიგერია ბუბენეცმა და გავაშელმა ლამაზი დარტყმით გახსნა ანგარიში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თბილისელთა ახალგაზრდა ფორვარდი ამ დღეს მეტად მწვავედ და აქტიურად მოქმედებდა. მე-19 წუთზე ხურცილავას ზუსტი დარტყმის შემდეგ ცხადი გახდა, რომ თბილისის დინამოელებმა თამაშის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს. 2:0 ამის საიმედო გარანტია იყო.

მეორე ნახევარში თბილისელები საერთო უპირატესობას ინარჩუნებდნენ. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გამოუყენებელი დარჩა, მაგრამ ანგარიში მაინც შეიცვალა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც “კაირატის” მცველებმა უხეშად “მოცელეს”

მეტრეველი საჯარიმო მოედანზე და დაზარალებულმა ზუსტად გამოიყენა პენალტი - 3:0.

ნ. გუგუშვილი.
“ლელო”, 25 სექტემბერი, 1968 წ.